ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ. უ ლ ე ბ ა N02

2021 წლის 29 იანვარი

ქ. ქობულეთი

უძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემაზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 106[1]-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (მ. ქათამაძე) თანხმობა შპს „მლდ კონმპანია“-ს გადასცეს პირდაპირი განკარვის წესით,უსასყიდლო სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის უვადო სარგებლობის უფლებით გადმოცემული ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა N21-ის მიმდებარედ არსებული 3022,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N20.42.05.345), შემდგომში ტყე-პარკის მოწყობის მიზნით;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი